პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (საიდენტიფიკაციო კოდის № 412677269) რეორგანიზაციის (გაყოფის) განხორციელების, მისგან მისი ფილიალის „საცურაო აუზის“ გამოყოფისა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“ დაფუძნების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე;

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს განახორციელოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ (ს/კ: 412677269) რეორგანიზაცია (გაყოფა), მისგან მისი ფილიალის „საცურაო აუზის“ გამოყოფა და ახალი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქუთაისის ოლიმპიური საცურაო აუზის“-ს დაფუძნება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი